



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 110/19¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ანა კიკნაძე (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის სამოქალაქო დავაზე იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება 2015 წლის 05 ნოემბერს დაიდო. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, კლიენტის ინტერესები ადვოკატს უნდა დაეცვა ყველგან, სადაც საჭირო გახდებოდა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის ჰონორარს ჯამში 1400 ლარი შეადგენდა. საჩივრის ავტორი თავის ადვოკატს ადანაშაულებს უფლება-მოვალეობათა სათანადოდ შეუსრულებლობაში, ეჭვი შეაქვს მის კვალიფიციურობაში, კერძოდ, მისი განმარტებით, ადვოკატმა ვერ შეძლო სამართლებრივი მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბება, საქმის წარმართვა და დავის კლიენტის სასარგებლოდ დასრულებისთვის მნიშვნელოვან გარემოებებზე აპელირება - ის, რომ საჩივრის ავტორსა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის დადებულიყო იყო არა წინარე ნასყიდობის, არამედ ბეს ხელშეკრულება. მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება კი არის ყალბი და ცალმხრივი. საჩივრის ავტორი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ადვოკატს დოკუმენტებზე მუშაობის უნარი არ აღმოაჩნდა, მან ვერ მოახერხა მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტების გაბათილება ხელშეკრულების სახესთან და ბინის ავარიულობასთან დაკავშირებით. ადვოკატმა სადავო ბინას ყადაღა ვერ მოხსნა. ამასთან ერთად, მან განცხადება პოლიციაში ადვოკატის თანხმობით შეიტანა, თუმცა შემდგომში, ადვოკატმა განაცხადა, რომ აღნიშნული საქმე სამოქალაქო დავის საგანი იყო, ამიტომაც მან მოწინააღმდეგე მხარის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრა. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ის საჩივრის ავტორის დედაა, მან აიყვანა ადვოკატი თავისი შვილის საქმეზე და პირადად მას ჰქონდა ადვოკატთან ურთიერთობა. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან დავა ყველა ინსტანციის სასამართლოში წააგო, რის შედეგადაც მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ დაეკისრა 3000 აშშ დოლარის გადახდა. როგორც ადვოკატი განმარტავს, სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით მას დაუკავშირდა საჩივრის ავტორის წარმომადგენელი, რომელმაც გააცნო საქმე. ადვოკატი კლიენტს სარჩელის მომზადებასა და მის სასამართლოში წარდგენაზე შეუთანხმდა, რაც განახორციელა. 2 წლის განმავლობაში მას საჩივრის ავტორის წარმომადგენელთან ჰქონდა მუდმივი კომუნიკაცია, რომელსაც არაერთხელ გაუწია საადვოკატო მომსახურება. ადვოკატის განცხადებით, საქმეს ართულებდა ის, რომ მოპასუხის ადგილმდებარეობის შესახებ არ ჰქონდათ ინფორმაცია და კლიენტი მზად არ იყო გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი 3000 ლარის ოდენობით. ამიტომაც, მან საჩივრის ავტორის წარმომადგენელთან შეთანხმებით, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარადგინა სარჩელი, რომლის მიხედვითაც მოპასუხე მხარედ გამოვიდოდა საჯარო რეესტრის სააგენტო, ხოლო ბაჟის თანხა შეადგენდა 100 ლარს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი სარჩელის საპირწონედ მან შესაგებელი წარადგინა, სადაც იგი უთითებდა კლიენტის მხარეს არსებულ ყველა გარემოებასა და არგუმენტზე. ადვოკატს კლიენტისთვის საქმის წარმატებით დასრულების გარანტია არ მიუცია. ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ მას ეჭვები ჰქონდა კლიენტსა და სხვა ადვოკატს შორის ურთიერთობის არსებობის თაობაზე, ამიტომ მან საჩივრის ავტორს შესთავაზა, რომ კლიენტის სურვილისამებრ, სხვა ადვოკატსაც შეემლო საქმეში ჩაბმულიყო. კლიენტმა

¹ გადაწყვეტილება 110/19, თარიღი 20.09.2019,

<https://gba.ge/pdf/60057b63ae2c2.pdf/110.19%20არ%20აღმგრა%2020.08.19.pdf>

სასამართლო სხდომაზე ახლობელი ადვოკატი მოიყვანა. კლიენტის წარმომადგენელმა კი ადვოკატს ცრუ ინფორმაცია მიაწოდა სხდომის ჩატარების დროსთან დაკავშირებით, რის გამოც სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. მიუხედავად ადვოკატის მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, რის შემდეგაც კლიენტი მას აღარ დაკავშირებია. ადვოკატი აღნიშნავს, რომ პოლიციაში განცხადების შეტანისას კლიენტისთვის ხელი არ შეუშლია, მაგრამ მას განუძარტა, რომ საჩივრის ავტორს თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილება მხოლოდ სასარჩელო წარმოების წესით შეეძლო.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად მომსახურების, აგრეთვე კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობის შეწყვეტისას ყველა დოკუმენტისა და ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულების სტანდარტებით. კომისიის განმარტებით, კვალიფიციურობა გულისხმობს ადვოკატის ცოდნის, უნარებისა და განხორციელებული ქმედებების კლიენტის ინტერესების სათანადო დაცვისა და წარდგენისთვის გამოყენებას. ადვოკატს სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეს საქმის თითოეულ გარემოებას, რათა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ზუსტად განსაზღვროს და შეარჩიოს წარმომადგენლობის ტაქტიკა, რაც აუცილებლად უნდა იყოს კლიენტთან შეთანხმებული. ადვოკატმა ყოველი ქმედების განხორციელებისას უნდა შეაფასოს აღნიშნულ მოქმედებებით გამოწვეული რისკების საფრთხე და მათი შესაბამისობა კლიენტის ინტერესებთან. ეთიკის კომისია ასევე აღნიშნავს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის, როგორც თავისუფალი პროფესიის განმახორციელებელი პირის, თითოეული ქმედების ხარისხის სამართლებრივი შეფასება. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ 2015 წლის 5 ნოემბერს დადებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებით, ადვოკატმა აიღო ვალდებულება კლიენტის ინტერესები დაეცვა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, რის სანაცვლოდაც მან მიიღო 700 ლარი. შემდეგში, კლიენტსა და ადვოკატს შორის დაიდო მორიგი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ადვოკატს ევალებოდა იუსტიციის სახლში ადმინისტრაციული საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება. ამჯერად კლიენტმა მას 100 ლარი გადაუხადა. ადვოკატმა კიდევ ერთი ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც მას სააპელაციო საჩივრის შედგენა ევალებოდა, მიიღო 50 ლარი. ადვოკატმა ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებებით ნაკისრი ყველა ვალდებულება შეასრულა - ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის 2015 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიიღო ადმინისტრაციულ ორგანოში გამართულ ზეპირ მოსმენაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება, მოცემული საჩივრის დაუკმაყოფილებლად ცნობის გამო, მან სააპელაციო წესით გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება, რომელიც დარჩა უცვლელი, ხოლო სააპელაციო საჩივარი - დაუკმაყოფილებელი. ეთიკის კომისიამ ასევე გამოარკვია, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილ სარჩელზე, ადვოკატის კლიენტმა წარადგინა შესაგებელი და შეგებებული სარჩელი, თუმცა საჩივრის ავტორის წარმომადგენლის დაგვიანებით გამოცხადების გამო, მის წინააღმდეგ გამოტანილი იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მოცემული გადაწყვეტილება ადვოკატმა გაასაჩივრა, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული. ადვოკატმა აღნიშნულზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა, რომელზეც უარი ეთქვა. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა კლიენტისაგან ჰონორარის სახით მიიღო 850 ლარი, რომლის სანაცვლო მომსახურებაც აქვს გაწეული, შესაბამისად, ადვოკატს არ მიუღია გამოუმუშავებელი ჰონორარი. ამასთან, ადვოკატი

სრულ ინფორმაციას აწვდიდა კლიენტს ყველა განხორციელებული ქმედების შესახებ, რომელთა მიზანს, ეთიკის კომისიის დასკვნით, წარმოადგენდა კლიენტის ინტერესების დაცვა და სასურველი შედეგის დადგომა.

დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის მიმართ არ აღძრა დისციპლინური დევნა აპეკ-ის 8.5 და 8.15 მუხლების საფუძველზე.